ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N32

სხდომის ჩატარების დრო:
17 ოქტომბერი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული დარბაზი N210

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაია სიმონიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ზაქრო მამასახლისი, ბესიკ ხამაშურიძე, კობა გურული.

სულ: 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ: თეიმურაზ ნადირაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტი, **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ფინანსთა სამინისტროს აკადემიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

3.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი დეველოპმენტს" (საიდენტიფიკაციო კოდი 412724155) შორის 2017 წლის 27 იანვარს გაფორმებული N4 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო პირობის შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „შეტანილ იქნას ცვლილება თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის გეგმის დამტკიცების თაობაზე, თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის N67 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულებით დამტკიცებულ გარე რეკლამის განთავსების გეგმას დაემატოს N95,96 ლოტები თანდართული რედაქციით, ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრის წარმოება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა იოსებ ხახალეიშვილმა, საუბარია ბანერებზე, რომელთაც გაუვიდათ ოჯარის ვადა, უგრძელდებათ ეს ვადა და ამასთან ემატება ორი ახალი ლოტი/ადგილი (სულხან-საბას და რუსთაველის გამზირზე), ფასი შეფასებულია ექსპერტის მიერ, ზონების მიხედვით."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა ბატონმა გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ფინანსთა სამინისტროს აკადემიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ფინანსთა სამინისტროს აკადემიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

ქონების, სადგურის მოედნის ქუჩა N3ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მესამე სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის არსებობის ვადით, აღნიშნული ქონება გამოყენებულ იქნას სატრენინგო მომსახურების გაწევის მიზნით."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე**: „ეს შენობა, როგორც ვიცი ავარიულ მდგომარეობაშია."

ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი**: „დიახ სარემონტო გახლავთ და თავიანთი ხარჯებით უზრუნველყოფენ სარემონტო სამუშაოების ჩატარებას."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა ბატონმა გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ფინანსთა სამინისტროს აკადემიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი დეველოპმენტს" (საიდენტიფიკაციო კოდი 412724155) შორის 2017 წლის 27 იანვარს გაფორმებული N4 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო პირობის შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საუბარია გაპონოვის ქუჩა N12-ში გასხვისებულ მიწაზე 2012 წლს, ორი ან მეტი მრავალფინქციური შენობა უნდა აშენებულიყო და განხორციელებულიყო მილიონნახევრის ინვესტიცია, სამშენებლო ნებართვა აიღო კომპანიამ 2023 წლის 19 მაისს, შესაბამისად ინვესტიციას მანამდე ვერ განახორციელებდა, ამიტომ შემოიტანა განცხადება, გადავადებულ იქნას საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადა 2025 წლის 31 მაისამდე."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი დეველოპმენტს" (საიდენტიფიკაციო კოდი 412724155) შორის 2017 წლის 27 იანვარს გაფორმებული N4 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო პირობის შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი